პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 28-ე წელი

პარასკევი, 28 მაისი, 1948 წ. № 105 (8149). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

კონკრეტული, მებრძოლი პოლიტიკური აგიტაციისათვის! — „პრავდის" 27-V მოწინავე (1-ლი გვერდი).

წლიური გეგმა — 7 ნოემბრისათვის (1-ლი გვერდი).

ნავთის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით (1-ლი გვერდი).

ე. გოროდეცკი — ვ. ი. ლენინი პარტიისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

**დეკემბრის გაცვლა ისაკელის სახელმწიფოს საბჭო

კომუნისტი

პარასკევი, 28 მაისი, 1948 წ. № 105 (8149)

ვ. ი. ლენინი პარტიისათვის ბრძოლაში

(ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთექვსმეტე ტომის გამოსვლის გამო)

გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-16 ტომი. იგი შეიცავს ნაწარმოებთ, რომლებიც პარტიის ბელადმა შექმნა 1909 წლის სექტემბრიდან 1910 წლის დეკემბრამდე, როცა მუშათა კლასი და ბოლშევიკების პარტია შევიდნენ ახალი რევოლუციური აღმავლობის ხანაში. ეს იყო რევოლუციური ბრძოლებისათვის პარტიის ინტენსიური მომზადების, ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის ბიწიერებისაგან პარტიის წმენდის პერიოდი. ლენინის თხზულებათა მე-16 ტომის ნაწარმოებთ აერთიანებს ერთიანი იდეა ბრძოლისა მძლავრი, უძლეველი პარტიისათვის, რომელსაც უნარი ექნებოდა სათავეში ჩასდგომოდა რუსეთის ახალ სახალხო რევოლუციას.

ბრძოლა ორ ფრონტზე — მემარჯვენე და მემარცხენე ლიკვიდატორებთან, 1905-1907 წლების რევოლუციის გამოცდილების შესწავლა ამ გამოცდილების ქმედითი გამოყენებისათვის, საერთაშორისო ოპორტუნიზმის მხილება — ასეთია ლენინის თხზულებათა ახლად გამოსული ტომის შინაარსი.

სტატიებში „გამოაშკარავებული ლიკვიდატორები", „ლიკვიდატორების ხერხები და ბოლშევიკების პარტიული ამოცანები", „ლიკვიდატორების „ხმა" პარტიის წინააღმდეგ", „ოტზოვიზმისა და ღვთის მშენებელთა მომხრეების ფრაქციის შესახებ", „პუბლიცისტის შენიშვნებში" ლენინი გადაჭრით და შეურიგებელ ბრძოლას ეწევა მემარჯვენე და მემარცხენე ლიკვიდატორების წინააღმდეგ, მათი საზიზღარი ცდების წინააღმდეგ — მოესპოთ პარტია „თეორიული რევიზიონიზმითა და პოლიტიკისა და ტაქტიკის მეშჩანური მეთოდებით" მისი წარყვნის გზით (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. მე-16, გვ. 45). ამ ნაშრომებში ლენინი ცხადჰყოფს, რომ ორ ფრონტზე ბრძოლა არის პარტიის განვითარების კანონზომიერება, რომ, თუ ასეთი ბრძოლა არ იქნა, შეუძლებელია პარტიის მშენებლობა, ნამდვილად პარტიული, ნამდვილად მარქსისტული ძალების დარაზმვა პარტიაში.

„ლიკვიდატორობა ღრმა სოციალური მოვლენაა, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ განწყობილებასთან, დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის დაშლასა და რღვევასთან", — სწერდა ლენინი.

სტატიაში „ლიკვიდატორების ხერხები და ბოლშევიკების პარტიული ამოცანები" ლენინი ცხადჰყოფს, რომ საქმე ეხება ლიკვიდატორების იდეურ და ორგანიზაციულ ბრძოლას „ხვალინდელი რევოლუციის" უმნიშვნელოვანესი ბურჯის — პარტიის წინააღმდეგ. ლენინის გენიალურმა განჭვრეტამ ხელი შეუწყო ბოლშევიკებს ოტზოვისტებში, — რომლებიც მოითხოვდნენ „მებრძოლ რაზმებს", გაჰყვიროდნენ რევოლუციურ ფრაზებს და უარს ამბობდნენ გამოეყენებინათ ლეგალური შესაძლებლობანი, — გამოეცნოთ იგივე გადასხვაფერებული ლიკვიდატორები, ბოლშევიკური პარტიულობის მტრები.

ლენინის ნაშრომებში დამაჯერებლობით არის ნაჩვენები, თუ რა ერთიანობაა სტოლიპინის, ლიბერალური ბურჟუაზიის, მემარჯვენე და მემარცხენე ლიკვიდატორებისა და ტროცკისტების, „დამოუკიდებელთა" და შემარიგებელთა მოქმედებაში. სტოლიპინი ანგრევდა არალეგალურ პარტიას ჯალათის ხელით, სახრჩობელითა და კატორღით, ლიბერალები ამას აკეთებდნენ „ვეხის" იდეათა პროპაგანდით, ლიკვიდატორები და სხვა „დამოუკიდებლები" არალეგალურ პარტიას ანგრევდნენ ყვირილით მისი „მოდუნების" შესახებ, პარტიისათვის დახმარებაზე უარის თქმით, პარტიიდან წასვლის გამართლებით.

ლიკვიდატორობის, როგორც მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის სტოლიპინის სისტემის რგოლის, მხილება მოცემულია ლენინის „პუბლიცისტის შენიშვნებში". ამ ნაშრომში ლენინი აჯამებს ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის მუშაობის შედეგებს და ულმობლად ესხმის თავს ტროცკისა და მის დამქაშებს, რომლებიც პლენუმზე გამოვიდნენ. ამ ნაშრომებში ლენინი ნიღაბს ხდის უპრინციპობას — „ახალ ხაზს" იქით დამალვას, თანმიმდევრულ ლიკვიდატორთა და ოტზოვისტთა დაფარვას.

ლიკვიდატორთა და ოტზოვისტთა წინააღმდეგ დაძაბულ ბრძოლაში ლენინი რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებს ეყრდნობოდა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის გამოსვლებს ლიკვიდატორთა წინააღმდეგ. სტატიებში „პარტიული კრიზისი და ჩვენი ამოცანები", „პარტიიდან", განთქმულ ნაშრომში „წერილები კავკასიიდან" სტალინი გამანადგურებლად აკრიტიკებს ლიკვიდატორებს, ოტზოვისტებს და ტროცკისტებს. სწორედ ამ დროს წამოაყენა სტალინმა რუსეთში პარტიის მუშაობის ორგანიზების გეგმა, რომელიც უფრო გვიან განხორციელდა პრაღის პარტიულ კონფერენციაზე.

ორ ფრონტზე ლენინისა და სტალინის ბრძოლას მოჰყვა მემარჯვენე და მემარცხენე ლიკვიდატორების იზოლაცია, შემდეგ კი განადგურებაც.

ამ პერიოდის ნაშრომებში ლენინმა ცხადჰყო, რომ ბოლშევიკური პარტიულობა რევოლუციური მოქმედების პარტიულობა უნდა იყოს. „... სწორედ იმიტომ, — სწერდა ლენინი, — რომ ჩვენ პარტიულობას ვიცავთ პრინციპულად, ფართო მასების სასარგებლოდ, ყოველგვარი ბურჟუაზიული გავლენისაგან მათი განთავისუფლების სასარგებლოდ, კლასობრივ დაჯგუფებათა უაღრესად სრული სიცხადის სასარგებლოდ, სწორედ ამიტომ მთელი ძალღონით უნდა ვცდილობდეთ და უმკაცრესად ვადევნებდეთ თვალყურს იმას, რომ პარტიულობა იყოს არა მარტო სიტყვა, არამედ საქმე" (გვ. 47).

ლენინის ამ პერიოდის ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია ბრძოლას II ინტერნაციონალში რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

ლიკვიდატორებსა და ოტზოვისტებს აშკარად უჭერდნენ მხარს II ინტერნაციონალის ლიდერები. გერმანელი **სოციალ-დემოკრატების გაზეთი „Vorwärts"-ი თავის** ფურცლებზე რეკლამას უკეთებდა „არაფრაქციულ" ტროცკის და მის უბადრუკ გაზეთს, რომელიც ვენაში გამოდიოდა. ბელგიელი **სოციალისტების გაზეთი „Le peuple"** მფარველობდა ოტზოვისტებს. ამრიგად, რუსი ოპორტუნისტებისა და რევიზიონისტების ანტიპარტიული ძირგამომთხრელი მუშაობა უერთდებოდა II ინტერნაციონალის მემარჯვენე სოციალისტების საქმიანობას.

თავის სტატიებში ლენინმა ნიღაბი ჩამოჰხადა რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთიან ფრონტს. ლენინის ნაშრომები „უთანხმოება ევროპის მუშათა მოძრაობაში", „ორი სამყარო", „კოოპერატივების საკითხი კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე" და სხვები ამხილებდნენ II ინტერნაციონალის ლიდერთა გამცემლობას, მათს, როგორც ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის მხსნელთა როლს. ლენინი დაუღალავად ამხილებდა პროფკავშირულ ბიუროკრატიასა და მემარჯვენე სოციალისტ პარლამენტარიებს, როგორც II ინტერნაციონალში ოპორტუნიზმის მატარებლებს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაგდებურგის ყრილობისადმი მიძღვნილ სტატიაში ვლადიმერ ილიასძემ ამხილა პოლიტიკური სახე გერმანელი რევიზიონისტებისა, რომელნიც გამსჭვალული არიან ბურჟუაზიული „კანონიერებისა" და ბურჟუაზიული „თანასწორუფლებიანობისადმი" რწმენით, ქედს იხრიან ამ „მუდმივი" კანონიერების წინაშე. დიდი ზიზღითა და სიძულვილით ლაპარაკობს ლენინი ამ „სოციალისტებზე", რომლებიც რყვნიან მუშებს ბურჟუაზიული კანონიერების ფარგლებში სოციალიზმის ჩატევის შესაძლებლობის იდეით. პროლეტარული, სოციალისტური მოძრაობა დგას დილემის წინაშე: „ან დაამსხვრიოს" ბურჟუაზიული სახელმწიფო, ანდა თვითონ იქნას დამსხვრეული და ჩახშობილი", — სწერდა ლენინი (გვ. 280).

საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში ლენინი და ლენინელები პირველ რიგებში იდგნენ და გამანადგურებელ ლახვარსა სცემდნენ II ინტერნაციონალს. სტატიაში „კოოპერატივების საკითხი კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე" ლენინი ნიღაბს ხდის ფრანგ რეფორმისტებს, რომლებიც მკითხველის წინაშე წარმოსდგებიან როგორც ჩვეულებრივი ბურჟუაზიული პოლიტიკანები, „სოციალურ გარდაქმნათა შესახებ რომ ლაყბობენ. ლენინმა ამხილა გერმანელი ოპორტუნისტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ „კაპიტალიზმის დაძლევის" თეზისით კაპიტალისტების ექსპროპრიაციის შესახებ პროგრამული დებულების შეცვლას. საერთოდ, — აღნიშნავდა ლენინი,—გერმანელებს არ შესწევთ უნარი მტკიცე პრინციპული ხაზი გაატარონ საერთაშორისო ყრილობებზე, და ჰეგემონია ინტერნაციონალში ხშირად მათ ხელიდან უსხლტებათ" (გვ. 255).

ბოლშევიკები სამართლიანად ამაყობდნენ იმით, რომ მათ თავიანთ პარტიაში ბრძოლა გაჩაღეს ოპორტუნისტებისა და რევიზიონისტების წინააღმდეგ და სწმენდნენ თავიანთ რიგებს ამ ბურჟუაზიული აგენტურისაგან. დასავლეთის მუშათა პარტიები რუსეთის მოწინავე გამოცდილებას უნდა მიჰყოლოდნენ. ეს დაამტკიცა ისტორიული ამბების მთელმა მსვლელობამ. აი სწორედ ამიტომ ლენინი გესლიანად დაეცინოდა რუსი ოპორტუნისტების მსჯელობას რუსეთის პროლეტარიატის ჩამორჩენილობის შესახებ. მარტოვი, ტროცკი და სხვა მენშევიკები იმ აზრისა იყვნენ, რომ „რუსეთის სოციალ-დემოკრატია ერთობ გულმოდგინედ ლაპარაკობდა რუსულად" ტაქტიკის „საერთო ევროპული" ხერხებისაგან განსხვავებით" (გვ. 344). სტატიაში „რუსეთში შინაპარტიული ბრძოლის ისტორიული აზრი" ლენინმა ცხადჰყო, თუ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ეს ტაქტიკური „ლაპარაკი რუსულად" რამდენად უფრო მაღლა დგას, უფრო სრულყოფილია, უფრო თანმიმდევრულია, ვიდრე „ტაქტიკის საერთო ევროპული ხერხები" და ნამდვილად წარმოადგენს ნიმუშს ყველა ქვეყნის რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისათვის. „...სამი წლის განმავლობაში თავისი გმირული ბრძოლით (1905-1907) რუსეთის პროლეტარიატმა თავისთვის მოიპოვა და რუს ხალხსაც მოუპოვა ის, რის მოპოვებასაც სხვა ხალხებმა მრავალი ათეული წელი მოანდომეს",—სწერდა ლენინი (გვ. 356). ამ სტატიაში ლენინმა ცხადჰყო, რომ რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლა სანიმუშოა მთელი მსოფლიოს პროლეტარებისათვის. რუსეთის პროლეტარიატმა მოიპოვა მუშათა მასების განთავისუფლება გაძეცემლური და საზიზღარ-უძლური ლიბერალიზმის გავლენისაგან. მან მოიპოვა როლი ჰეგემონისა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლაში, როგორც პირობა სოციალიზმისათვის ბრძოლისა. მან რუსეთის ყველა ჩაგრულ და ექსპლოატირებულ კლასს მოუპოვა უნარი რევოლუციური მასობრივი ბრძოლისა, ურომლისოდაც არსად დედამიწის ზურგზე კაცობრიობის პროგრესში რაიმე სერიოზული არ ყოფილა მიღწეული" (გვ. 356). ამ მონაპოვრებმა მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდში წამოსწიეს რუსეთის მუშათა კლასი და მისი პარტია.

ლენინი აქარწყლებდა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების ყველა ცდას — შემარიგებლობის შხამი შეეტანათ რუსეთის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიაში. „ვერავითარი კონფერენცია, ვერავითარი ყრილობა მსოფლიოში ვერ შეარიგებს ახლა ბოლშევიკებსა და ოტზოვისტებს, ულტიმატისტებსა და ღვთისმშენებლებს", —სწერდა ლენინი (გვ. 40).

1905-1907 წლების რევოლუციისა და მომდევნო წლების რეაქციის გამოცდილებამ საკმაო მასალა მისცა პარტიას რუსეთისა და საერთაშორისო ბურჟუაზიის მჭიდრო კავშირის შესახებ, ამერიკისა და ევროპის კაპიტალისტების მისწრაფების შესახებ — მხარი დაეჭირათ თვითმპყრობელობისათვის, რომელსაც არყევდა რევოლუციური ხალხის იერიშები. ლენინმა ამხილა აგრეთვე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ლიბერალიზმის იდეური კავშირი. „...რუსეთის ლიბერალიზმის იდეური ბელადების მეტი წილი, — სწერდა ლენინი,—გერმანულ ლიტერატურაზე აღიზარდა და სპეციალურად გადმოაქვთ რუსეთში ბრენტანოს და ზომბარტის „მარქსიზმი", რომელიც აღიარებს „კაპიტალიზმის სკოლას", მაგრამ უარჰყოფს რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სკოლას" (გვ. 346).

ლენინის ნაშრომები რუსეთის პროლეტარიატს უნერგავდნენ სიძულვილს არა მარტო რუსი ლიბერალებისა და მათი ტროცკისტულ-მარტოვული აგენტურისადმი, არამედ საერთაშორისო ბურჟუაზიისა და მისი მსახურებისადმი II ინტერნაციონალში.

რუსეთის ლიბერალებს, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ლიბერალებს, სურთ „შეარიგონ პროლეტარიატი და „რეფორმირებული", შელამაზებული, „გაუმჯობესებული" ბურჟუაზიული საზოგადოება", — სწერდა ლენინი. (გვ. 150).

ლენინის სიტყვები სტოლიპინის რეაქციის პერიოდის ბურჟუაზიული პოლიტიკისა და კულტურის გახრწნის შესახებ ამჟამადაც, 40 წლის შემდეგ, უდიდესი ძალით გაისმის. ინგლისელი, ამერიკელი და სხვა თანამედროვე „ვეხელები" ისევე ლანძღავენ ხალხის მასებს, დასცინიან დემოკრატიას, ქედს იხრიან იმ ხიშტების წინაშე, რომლებმაც უნდა დაიცვას ისინი ხალხის განრისხებისაგან, როგორც ამას რუსეთში სჩადიოდნენ ლენინის მიერ მხილებული „ვეხელები". სტატიაში „ვეხის შესახებ" ლენინმა მთლიანად გამოააშკარავა ლიბერალებსა და ნამდვილ დემოკრატებს შორის არსებული წინააღმდეგობის არსი. „ლიბერალი თანაუგრძნობდა დემოკრატიას, სანამ დემოკრატია ნამდვილ მასებს აამოძრავებდა... ლიბერალმა ზურგი აქცია დემოკრატიას, როცა დემოკრატიამ დარაზმა მასები, რომლებიც შეუდგნენ **„თავიანთი** ამოცანების განხორციელებას, **თავიანთი** ინტერესების დაცვას" (გვ. 109). რუსეთის მმართველი კლასების ეგრეთწოდებული ნაციონალიზმი ლენინურმა კრიტიკამ გააშიშვლა, გამოამჟღავნა მთელი მისი ვიწრო კლასობრივი და ანგარებიანი პოლიტიკა, მიმართული რუსი ხალხის დიდი უმრავლესობის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. მთელ რიგ სტატიებში ფინეთის შესახებ ლენინი ცხადჰყოფს, რომ რუსმა ხალხმა პროლეტარიატის წინამძღოლობით აიძულა მეფე შეეშვა ფინელი ხალხისათვის ყელში წაჭერილი ხელი. რუსეთის რევოლუციურმა ბრძოლამ საშუალება მისცა ფინელ ხალხს გაეფართოებინა თავისი დემოკრატიული უფლებები, მაგრამ ფინეთის ბურჟუაზიამ, რომელიც განმტკიცდა რუსეთის დეკემბრის ბრძოლის ზურგში, მოაწყო ფინეთის წითელი გვარდიის დევნა, აბრკოლებდა ფინეთის სოციალისტური ორგანიზაციების თავისუფლებას, მეფის პოლიციის ხელში აგდებდა რუს რევოლუციონერებს და ბრალსა სდებდა ფინელ სოციალისტებს, რომ ისინი გაფუჭდნენ რუსი რევოლუციონერების გავლენით.

ამ დროს უდიდესი ძალით გაისმა ლენინის სიტყვები: „დადგება დრო და ფინეთის თავისუფლებისათვის... დაირაზმება რუსეთის პროლეტარიატი" (გვ. 156). ლენინის თხზულებათა მე-16 ტომის ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია 1905-1907 წლების რევოლუციის გამოცდილების თეორიული და პოლიტიკური განზოგადებისადმი. ლენინი მოითხოვდა 1905 წლის რევოლუციის გამოცდილების ქმედითი შესწავლას და ულმობლად ამხილებდა ოტზოვისტურ ფრაზებს რევოლუციის „გამოცდილების გათვალისწინების" შესახებ, რაშიც იმალებოდა ის, რომ არ სურდათ ანგარიში გაეწიათ ისტორიული ვითარებისათვის.

ლენინი მთელ რიგ სტატიებში იძლევა რევოლუციის იმ გამოცდილების მენშევიკური კრებულის გამანადგურებელ დახასიათებას, რომელიც თავმოყრილია ხუთტომიან ისტორიაში „საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში XX საუკუნის დამდეგს". ამ მენშევიკურ ისტორიაში მიწისათვის გლეხობის ბრძოლა გამოცხადებული იყო რეაქციულ ბრძოლად, ხოლო პროლეტარიატის საგაფიცვო მოძრაობა და შეიარაღებული აჯანყება „უგუნურებად" და „არადროულად". ლენინი ამ მენშევიკურ ისტორიას უწოდებდა რენეგატულს, რომელიც გამსჭვალულია რევოლუციის ძალებისადმი ურწმუნობით.

ტომში მოთავსებულია აგრეთვე ლენინის სტატიები, მიძღვნილი ტოლსტოის ხსოვნისადმი. რუსეთის დიდმა მწერალმა გენიალური შეფასება ჰპოვა ლენინის ნაშრომებში, როგორც რუსეთის მილიონიანი გლეხთა მასების პროტესტისა და სასოწარკვეთილების გამომხატველმა. ყალბი ბურჟუაზიული და მენშევიკური პრესა „ცხოვრების მასწავლებელს" უწოდებდა ტოლსტოის. ლენინმა ამხილა ეს სიცრუე, როგორც ცდა—გამოეყენებინათ ტოლსტოის მოძღვრების ანტირევოლუციური მხარე. „ტოლსტოიმ არა მარტო მოგვცა მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებსაც მუდამ დააფასებენ და წაიკითხავენ მასები, როცა შეიქმნიან ცხოვრების ადამიანურ პირობებს, დაამხობენ მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელს,—მან შესანიშნავი ძალით შესძლო გადმოეცა თანამედროვე წესწყობილებით დაჩაგრული ფართო მასების განწყობილება, დაეხატა მათი მდგომარეობა, გამოეთქვა პროტესტისა და გულისწყრომის მათი სტიქიური გრძნობა" (გვ. 293-294).

ლენინის თხზულებათა მე-16 ტომის ნაწარმოებნი აიარაღებდნენ და აიარაღებენ ბოლშევიკებს პარტიულობისათვის, ლენინურ-სტალინური პარტიის რიგების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მოწოდების ხმად გაისმის ლენინის სიტყვები ბოლშევიკების პარტიის უძლეველობის, პროლეტარიატის უძლეველობის შესახებ, რომელსაც გამარჯვებისაკენ მიჰყავს ხალხის მასები.

ე. გოროდეცკი

„კულტურა ი ჟიზნ".

დეპეშების გაცვლა ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის

ბატონ მოლოტოვს საგარეო საქმეთა მინისტრს

მოსკოვი

პატივი მაქვს მოგახსენოთ უდიდესი კმაყოფილება, რომლითაც ჩვენმა მთავრობამ მხედველობაში მიიღო ცნობა სსრ კავშირის მთავრობის მიერ ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალური აღიარების შესახებ, რომელიც კეთილ ინებეთ და გადმოგვეცით ამა წლის 18 მაისის თქვენი დეპეშით. ისრაელის სახელმწიფოს მთავრობა სავსებით იზიარებს თქვენ მიერ ესოდენი დიდსულოვნებით გამოთქმულ სურვილებს და ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი მთავრობის შექმნით გამოწვეულ ამბებზე დამყარებულ მტკიცე იმედს, რომ უაღრესად მეგობრული ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს ისრაელის სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამ მიზნით ჩვენ გთხოვთ თქვენ კეთილ ინებოთ და გვაცნობოთ, თანახმა ბრძანდებით თუ არა, რომ ისრაელის სახელმწიფომ დაუყოვნებლივ დააარსოს თავისი მისია მოსკოვში დესპანის, ან საქმეთა რწმუნებულის და გენერალური კონსულის შემადგენლობით და რომ ამავე დროს ტელ-ავივში დაარსდეს საბჭოთა მისია იმავე რანგისა.

ისრაელის დროებითი სახელმწიფო საბჭოს სახელით

მოშე შერტოკი,
საგარეო საქმეთა მინისტრი.

ბ-ნ მოშე შერტოკს
ისრაელის სახელმწიფოს დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს

ტელ-ავივი

ვადასტურებ თქვენი 1948 წლის 24 მაისის დეპეშის მიღებას, რომლითაც თქვენ ითხოვთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის თანხმობას, რომ ისრაელის სახელმწიფომ დაუყოვნებლივ დააარსოს თავისი მისია მოსკოვში და რომ ამავე დროს ტელ-ავივში დაარსდეს საბჭოთა მისია.

პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა მოსკოვში დაარსდეს ისრაელის სახელმწიფოს მისია კონსულის ფუნქციათა შემსრულებელი დესპანის ან საქმეთა რწმუნებულის მეთაურობით, და, თავის მხრივ, მზად არის დააარსოს ტელ-ავივში საბჭოთა მისია.

ვ. მოლოტოვი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის საკონსულო ურთიერთობა დამყარდა

რამდენიმე ხნის წინათ ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა ბ-ნმა სოერიპნომ ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის სახელით პრაღაში აკრედიტებული სსრ კავშირის საელჩოს მეშვეობით საბჭოთა მთავრობას წინადადებით მიმართა საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის დამყარების შესახებ.

პრაღაში ორივე მთავრობას შორის მომხდარი მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის საკონსულო ურთიერთობის დამყარებისა და კონსულების ურთიერთწარგზავნის შესახებ.

მიღწეული შეთანხმება განმტკიცებულია წერილების გაცვლით პრაღაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ მ. ა. სილინსა და ინდონეზიის რესპუბლიკის საგანგებო დესპანსა და სრულუფლებიან მინისტრ დოქტორ სოერიპნოს შორის.

წერილების გაცვლა მოხდა 22 მაისს საბჭოთა საელჩოს შენობაში, პრაღაში.

სამომხმარებლო კოოპერაციის მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა

25 მაისს ყრილობამ განიხილა სსრ კავშირისა და რსფსრ ცენტროსოიუზის ბალანსი 1948 წლის 1 იანვრისათვის.

მომხსენებელმა — ცენტროსოიუზის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. აფონინმა — ყრილობას მოახსენა, რომ საბითუმო საქონელბრუნვის გეგმა ცენტროსოიუზის სავაჭრო გაერთიანებებმა 1947 წელს შეასრულეს 108,7 პროცენტით, ხოლო დამამზადებელმა ორგანიზაციებმა — 143 პროცენტით. მკვეთრად გადიდდა ხვედრითი წონა დეცენტრალიზებული შესყიდვისა, რაც 1946 წელთან შედარებით თითქმის 70 პროცენტით გაიზარდა. გაერთიანებათა უმეტესობამ 1947 წელს მოგების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ცენტროსოიუზის საკუთარი მეურნეობის ფინანსური მდგომარეობა მყარია და უზრუნველჰყოფს მომავალში მზარდი სამეურნეო საქმიანობის ნორმალურ დაფინანსებას.

მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია.

კამათის დამთავრების შემდეგ ყრილობამ გამოჰყო კომისია ცენტროსოიუზის ბალანსის შესახებ წინადადებათა შესამუშავებლად.

* * *

ყრილობამ მოისმინა აგრეთვე ცენტროსოიუზის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის დ. კ. ფილიპოვის მოხსენება სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირის წესდების შესახებ.

ცენტროსოიუზის პირველი წესდება 1918 წელს დამტკიცდა. 1928 წელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა გამო ეს წესდება გადამუშავებულ იქნა. ამჟამად სახალხო-სამეურნეო ცხოვრების პირობები კვლავ მნიშვნელოვნად შეიცვალა. საბჭოთა კავშირი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო გახდა. ცხოვრება მტკიცედ მოითხოვს წესდებაში ახალ ცვლილებათა შეტანას.

ახალი წესდების პროექტი, რომელიც წარმოდგენილია ყრილობის განსახილველად, შედგენილია იმ ახალი ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც დასახულია სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე მშვიდობიანი დროის პირობებში ფულის რეფორმისა და საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ. იგი, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებს კოოპერაციული დემოკრატიის პრინციპების აღდგენას, რომლებიც ომის დროს დაირღვა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაძლიერებას, მეპაეთა წინაშე ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობის გადიდებას.

ამჟამად მოქმედი წესდებისაგან განსხვავებით, ახალი პროექტი ითვალისწინებს ისეთ მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც ცენტროსოიუზი აერთიანებს არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკათა სამომხმარებლო კავშირებს, არამედ აგრეთვე იმ ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სამომხმარებლო კავშირებს, რომლებიც რსფსრ შემადგენლობაში შედიან.

ცენტროსოიუზის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა რწმუნებულთა ყრილობა, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა იქნას მოწვეული. რწმუნებულთა ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატთა არჩევნები ხდება ფარული კენჭისყრით. ცენტროსოიუზის საბჭოს ირჩევენ რწმუნებულთა ყრილობაზე ფარული კენჭისყრით. ამ ახალ ხელმძღვანელ ორგანოს უმაღლესი ორგანოს უფლებები და ფუნქციები ენიჭება სამომხმარებლო საზოგადოებათა რწმუნებულების ყრილობებს შორის პერიოდში. საბჭოს მორიგ კრებებს ყოველწლიურად იწვევენ.

ცენტროსოიუზის აღმასრულებელი ორგანოა გამგეობა 15 კაცის შემადგენლობით, რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევენ. გამგეობის თავმჯდომარეს უშუალოდ რწმუნებულთა ყრილობა ირჩევს. მომხსენებელი შეეხო ცენტროსოიუზის ამოცანებს და აღნიშნა როგორც ძირითადი ამოცანები: სოფლად გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის განხორციელება, სოფლის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება საჭირო საქონლით, საქონელბრუნვის ორგანიზაცია ქალაქსა და სოფელს შორის, კოლმეურნეობებისა და გლეხებისაგან გარდამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის განხორციელება, ამ პროდუქტების ვაჭრობის მოწყობა ქალაქებსა და მუშათა დაბებში, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

ყრილობამ აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა — შეიმუშაოს წესდების შესახებ მოხსენების გამო შეტანილი წინადადებანი სხდომებზე წარმოდგენილ შესწორებათა გათვალისწინებით. (საკდესი).

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

პროფორგანიზაციების მონაწილეობა ახალი მოსავლის პურის მიღებისათვის მზადებაში

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ახალი მოსავლის პურის მიღებისათვის მზადებაში სამხრეთის საფქვავი მრეწველობისა და ელევატორების მუშათა პროფორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გააუმჯობესა მარცვლეულის მისაღებად საწყობებისა და ელევატორების დროულად მომზადებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა. პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცა — ადგილობრივად პროფესიების მიხედვით მოაწყოს დამზადებათა სამინისტროს მუშაკების — ოსტატებისა და მათი თანაშემწეების, მეალცავების, მტვირთავების, საწყობების გამგეების, ლაბორანტების სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. მაის-ივნისში მოეწყოს საზოგადოებრივი დათვალიერება, თუ რამდენად მზად არის საწყობები, ელევატორები, ტექნოლოგიური მოწყობილობა მარცვალსაწმენდი ინვენტარი და სასწორები პურის მისაღებად.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ცენტრალური რკინიგზების, სამხრეთის, შუა აზიის, აღმოსავლეთისა და შორეული აღმოსავლეთის რკინიგზების, საავტომობილო ტრანსპორტისა და სამდინარო ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ 1948 წლის მოსავლის პურის გადაზიდვის მომზადებასა და მოწყობაში. (საკდესი).

რესპუბლიკური პარტიული სკოლა

პარტიული და საბჭოთა მუშაკების, ჩვენი კადრების აღზრდის, მათი მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების, მათ მიერ ხელმძღვანელობის ხელოვნების დაუფლების ამოცანას ემსახურება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი რესპუბლიკური პარტიული სკოლა. სკოლამ თავისი პირველი შევსება 1946-1947 სასწავლო წლის დასაწყისში მიიღო. მაშინ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოვიდა 154 პარტიული და საბჭოთა პრაქტიკოსი მუშაკი. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში კიდევ მიღებულ იქნა 150 მუშაკი, რომელთაგან 21 ამხანაგი პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნად ან რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

სკოლა დაკომპლექტებულია მოწინავე პროფესორთა და ლექტორთა ძალებით, რომელნიც ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მსმენელთა ცოდნის გასაღრმავებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია მარქსიზმ-ლენინიზმის (გამგე დოცენტი ნ. მახარაძე), ეკონომიურ მეცნიერებათა (გამგე დოცენტი ი. ბაჯაძე), ისტორიის (გამგე აკადემიკოსი გ. ხაჭაპურიძე), რუსული და ქართული ენებისა და ლიტერატურის (გამგე პროფესორი დ. მგელაძე) კათედრების მუშაობა.

სკოლას აქვს ორი ფაკულტეტი: პარტიული და საბჭოთა მშენებლობისა — პარტიულ-ორგანიზაციული, პროპაგანდისტული, პრესის მუშაკთა, კომკავშირულ მუშაკთა და ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკების განყოფილებებით.

სწავლის ხარისხის ამაღლებაში თვალსაჩინო როლს ასრულებს სოციალურ-ეკონომიური კაბინეტი. აქ ეწყობა კონსულტაციები, სწარმოებს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა. კაბინეტი მდიდარია საჭირო ლიტერატურით, დამხმარე თვალსაჩინო მასალებით. აქვე არის ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები.

ყოველივე ამას სკოლის მსმენელები კარგად იყენებენ. ისინი დიდი მონდომებით სწავლობენ, ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მიუხედავად იმისა, რომ პირველმა ნაკადმა გასულ სასწავლო წელს ორი თვის დაგვიანებით დაიწყო მუშაობა, პროგრამა ამოსწურა და სწავლების ხარისხშიც დიდ წარმატებას მიაღწია. შემოწმებისას 26 მსმენელმა მიიღო შეფასება „5", 20-მა —„4", ხოლო 8 კაცმა—„3". წელს პირველ სემესტრში პირველ კურსზე 150 მსმენელიდან 21 მსმენელის ცოდნა შეფასებულ იქნა ხუთზე, და 80-სა ოთხზე. მეორე კურსის 151 მსმენელიდან 59 კაცმა მიიღო ნიშანი „5", ხოლო 75-მა —„4".

პირველი კურსის მსმენელებიდან აღსანიშნავია ა. კვარაცხელიას, ა. სტამბოლიშვილის, შ. ნოზაძის, ბ. ლომიძის, ა. ვადაჭკორიას, მ. გოგიძის, გ. აფხაიძის, გ. გაბრიელოვის გულმოდგინე მუშაობა. მეორე კურსის მსმენელთა შორის გამოირჩევიან ა. აბლოთია, გ. ჯინჭარაძე, რ. კერძაია, ე. სიგუა, ა. ჩხეტიანი, ა. ხელაშვილი, პ. გაგუა, მ. უზუგბაია, ვ. ჯაყელი, ი. შევარდნაძე, რ. ცომაია, პ. კუბლაშვილი, ა. ყანჩაველი, მ. არველაძე, დ. გონჯილაშვილი, რ. ყურაშვილი, ვ. ანთაძე, ი. ტარბა, დ. ჩხიკვიშვილი, ი. ეგოროვა.

ამჟამად სკოლა გაცხოველებით ემზადება სასწავლო წლის უკეთესი მაჩვენებლებით დამთავრებისათვის.

სკოლასთან პერიოდულად ეწყობა მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები. გასულ სასწავლო წელს მოწყობილ ექვსთვიან კურსებზე გადამზადებულ იქნა 60 ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი.

ნოემბრიდან მუშაობას შეუდგა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადასამზადებელი 9-თვიანი კურსები. ამ კურსებზე 100 კაცი მეცადინეობს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მსმენელთა აკადემიური დონის ამაღლებისათვის თვალსაჩინო მუშაობას ეწევა სკოლის პარტიული ორგანიზაცია. პარტორგანიზაცია სისტემატურად იხილავს სასწავლო გეგმების შესრულებისა და მსმენელთა აკადემიური მაჩვენებლების საკითხს, სახავს საჭირო ღონისძიებებს და ახორციელებს მათ. მაგალითად, გასული წლის პირველ სემესტრში ვ. გუგუშვილი, ი. როსტომაშვილი, ვ. უტიაშვილი, ა. პერტაია, თ. დევდარიანი, ბ. აიწურაძე და ა. კიკნაძე სერიოზულად არ მეცადინეობდნენ, ზოგი მათგანი დახმარებას საჭიროებდა. პარტიულმა ორგანიზაციამ შეისწავლა ეს საკითხი და სათანადო ზომები მიიღო. ამის შედეგი იყო, რომ ამ ამხანაგებმა უკეთესად იწყეს მეცადინეობა, გამოასწორეს საქმე.

სერიოზული ყურადღება ექცევა მსმენელთა და მუშა-მოსამსახურეთა შორის სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. აგიტკოლექტივი გეგმიანად მუშაობს. 21 აგიტატორი სისტემატურად ატარებს საუბრებს, ეწყობა ლექციები და მოხსენებები. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო სამეცნიერო სესია, რომელზეც წაკითხულ იქნა 6 მოხსენება. ექსკურსიები მოვაწყეთ ქ. გორში დიდი სტალინის სახლის დასათვალიერებლად, მცხეთაში, საგურამოსა და რუსთაველში.

ჩვენმა სკოლამ წელს პირველად უნდა მისცეს რესპუბლიკას მომზადებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების მნიშვნელოვანი რაოდენობა. 151 კაცმა უნდა ჩააბაროს სახელმწიფო გამოცდა. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა სასწავლო გეგმები ვადაზე—15 ივნისამდე ამოვწუროთ. სახელმწიფო გამოცდები იწარმოებს: საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, საბჭოთა ეკონომიკის საფუძვლებსა და სპეციალურ საგანში.

სკოლის კოლექტივი გულდასმით ემზადება გამოცდებისათვის.

ი. ესაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური ორწლიანი პარტიული სკოლის პარტბიუროს მდივანი

უკეთ მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობები წელს შარშანდელზე უკეთესად მუშაობენ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, ყველა ბრიგადასა და რგოლს მიჩენილი აქვს ნაკვეთები, ზუსტად ხორციელდება აგროტექნიკური ღონისძიებანი.

კოლმეურნეობებში პურეულის მარგვლა ჩატარებულია სამჯერ, ზოგან ოთხჯერაც. შედეგიც კარგია. მოსავალს კარგი პირი უჩანს. ყანები უკვე შეფდება. მთელი რიგი კოლმეურნეობები შეუდგნენ მზადებას პურეულის მოსავლის ასაღებად. როგორც გაზეთ „კომუნისტის" 26 მაისის ნომრის მოწინავე წერილში იყო აღნიშნული, მოსავლის აღებისათვის კარგად ემზადება ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ უკვე შედგენილია მოსავლის აღების გეგმა, გათვალისწინებულია ყველაფერი, რაც დააჩქარებს მოსავლის მოკლე დროში და უდანაკარგოდ აღებას. მოსავლის აღებისათვის მზადება გააჩაღეს აგრეთვე ახალსოფლის ლენინისა და შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობებმა, ჭიკაანის კოლმეურნეობა „შრომამ", ყვარლის „ახალმა წყარომ" და „გამარჯვებამ". ამ კოლმეურნეობებში აკომპლექტებენ მოსავლის ხელით ამღებ ჯგუფებს, იმარაგებენ მოსავლის ასაღებ იარაღებს და ინვენტარს, წესრიგზე მოჰყავთ სატრანსპორტო საშუალებანი, მისასვლელი გზები, პურის საშრობები და საწყობები.

ყვარლის მტს-ის კოლექტივმა 18 კომბაინით 3.200 ჰექტარზე უნდა აიღოს თავთავიანი კულტურები. მანქანები მზად არის. მომზადებულია 9 სალეწი, რომლებითაც 2.300 ტონა მარცვალი უნდა გაილეწოს. შედგენილია კომბაინებისა და სალეწი მანქანების მუშაობის გრაფიკი. სოფელ ენისელის კოლმეურნეობა „ცხოვრების წყაროს" და გავაზის კოლმეურნეობა „განთიადის" მინდვრებში კომბაინები უკვე დგანან.

კომბაინების ადგილზე მიყვანას დიდად აფერხებს ტრაქტორების რემონტის გაჭიანურება. მეცხრე და მეათე სატრაქტორო ბრიგადებს, რომლებსაც ვ. პეტრიაშვილი და ი. გესაშვილი ხელმძღვანელობენ, ჯერ ტრაქტორების რემონტი არც კი დაუწყიათ.

სუსტად არის დაყენებული რემონტზე მომუშავეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამ საქმეს არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში და პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

ქ. იარალოვი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

საკოლმეურნეო მინდვრებზე

ჩაის ფოთლის კრეფა

წელს ჩაის ფოთოლი გვიან შემოვიდა. კრეფა დაიწყო 15-20 მაისიდან. საქართველოს მეჩაიეებს გეგმით მაისში უნდა მოეკრიფათ 7.490 ტონა ჩაის ფოთოლი. 25 მაისისათვის მოკრეფილი იყო 1.072,5 ტონა ჩაი ანუ თვიური გეგმის 14,3 პროცენტი.

ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა შესრულებულია ბათუმის რაიონში 16,3 პროცენტით, ქობულეთის — 8,3, გალის—18, ოჩამჩირის—23,1, გულრიფშის—140,6, სოხუმის — 122,5, გუდაუთის—17,6, მახარაძის — 11,5, ჩოხატაურის—13,2, ლანჩხუთის—28,6, სამტრედიის—18, წულუკიძის—8, ქუთაისის—46,5, წყალტუბოს — 20,4, ტყიბულის—12,1, ცხაკაიას — 13,4, აბაშის—0,6, გეგეჭკორის—20,8, ზუგდიდის—9,4, წალენჯიხის—4,6, ჩხოროწყუს—15,8, ხობის—16,3, ზესტაფონის რაიონში—350 პროცენტით. ჩხარის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფა არ იყო დაწყებული.

მოხნულია 314.224 ჰექტარი

მაისის მეხუთე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა საგაზაფხულოდ მოხნეს 10.307 ჰექტარი. სულ 25 მაისისათვის მოხნულია 314.224 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით.

აჭარის ასს რესპუბლიკაში ხვნის გეგმა 84,5 პროცენტით არის შესრულებული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 81,1 პროცენტით, აბაშის რაიონში — 95, ზუგდიდის — 93,7, ხობის — 79,2, ჩხოროწყუს — 90,4, ლანჩხუთის — 87,5, ჩხარის — 80,2, ჭიათურის — 90, ტყიბულის — 92,6, ცაგერის — 83,5, ადიგენის — 85,3, ბორჯომის — 78,3, წალკის — 56,4, თიანეთის რაიონში—70,8 პროცენტით.

დათესილია 465.095 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები

25 მაისისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დათესილია 465.095 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, აქედან მაისის მეხუთე ხუთდღიურში— 25.102 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 90,7 პროცენტით.

თესვის გეგმები შესრულებულია მახარაძის, საჩხერის, ამბროლაურის, ქვემო სვანეთის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ხაშურის, გურჯაანის, კასპის, კაჭრეთის, გარდაბნის, სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხისა და თბილისის რაიონებში.

პურეულის თესვა

კოლმეურნეობებში 25 მაისისათვის დათესილია 85.659 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები, აქედან მაისის მეხუთე ხუთდღიურში — 3.495 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 97,5 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გეგმის შესრულებას აკლია 2.938 ჰექტარი, ბორჯომის რაიონში — 271, წალკის — 1.045, დმანისის რაიონში— 1.490 ჰექტარი.

სანიმუშო სანიტარული წესრიგისათვის

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარული კულტურის ღონისძიებათა განხორციელებისათვის ყოველწლიურად უდიდესი თანხები იხარჯება. თბილისის მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად წელს ბიუჯეტით გათვალისწინებულია 88.621.000 მანეთი.

ცნობილია, რომ ავადმყოფობა არ ჩნდება და არც ვრცელდება იქ, სადაც ენერგიულად ატარებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, მტკიცედ იცავენ სანიტარულ რეჟიმს, სისტემატურად აწარმოებენ დასახლებული ტერიტორიის, ქუჩების, საცხოვრებელი სახლებისა და მათი ეზოების, საწარმოთა ტერიტორიების, ბაღების, სკვერებისა და სხვა საერთო სარგებლობის ადგილების გაწმენდა-დასუფთავებას. ამ მიზნით თბილისის მთელ ტერიტორიაზე ამას წინათ ჩატარდა ქალაქის საგაზაფხულო გაწმენდა-დასუფთავების ერთთვიური.

ბევრი რამ გაკეთდა ერთთვიურის დროს. მაგრამ, როგორც „კომუნისტის" რედაქციის, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებისა და სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მიერ მოწყობილი რეიდის დროს გამოირკვა, ქალაქის გარეუბნებში და ზოგჯერ ცენტრშიც არის ისეთი ადგილები, რომლებიც უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი.

ხეთაგუროვის ქუჩა მოლოტოვის რაიონში ერთ-ერთი მთავარი ქუჩაა. ქუჩის დასუფთავებისათვის გამოყოფილია 5 კაცი. მიუხედავად ამისა ეს ქუჩა იშვიათად სუფთავდება. ამავე ქუჩაზე № 17 და 19 სახლებს შუა მტკვრის ნაპირისაკენ პატარა გასასვლელი სანაგვედ გადაუქცევიათ. იგივე მდგომარეობაა ამავე ქუჩაზე მდებარე სხვა სახლებსა და ეზოებში. № 41 სახლის ეზოში სარკის დამამზადებელი საამქრო (უფროსი მ. მალჩატსკი) გაუმართავს სარეწაო კოოპერაციის სისტემის არტელ „მშრომელს" (გამგეობის თავმჯდომარე მ. ალიხანოვი). საამქროს მუშაკებს საცხოვრებელი სახლის ეზო სანაგვედ გაუხდიათ, საამქროს შენობის უკან ღია ადგილი კი საპირფარეშოდ. საპირფარეშოსა და წყლის უქონლობის შედეგად ანტისანიტარული მდგომარეობაა № 37 სახლის ეზოში. ამავე პირობებშია ტაგი-ზადეს ქუჩაზე № 52 სახლი.

კიბალჩიჩის ხევში № 8 სახლის კანალიზაცია რამდენიმე თვის განმავლობაში დაზიანებული იყო, რაც აუტანელ სიბინძურეს ჰქმნიდა. ახლა, როგორც გამოირკვა, მრავალი მიმოწერისა და საჩივრების შემდეგ საკანალიზაციო გაყვანილობის შეცვლა მხოლოდ ქუჩაზე დაუწყიათ, კანალიზაციის მილების ჩაკალაგებლად არხი გაუთხრიათ და მილები ჩაუწყიათ, მაგრამ თვით ეზოსა და სახლში დაზიანებული საპირფარეშოებისა და მილებისათვის ხელი არ უხლიათ. იგივე მდგომარეობაა ზასულიჩის ქუჩაზე № 46 სახლის ეზოში. საკანალიზაციო გაყვანილობა დაზიანებულია ნეკრასოვის ქუჩის № 8, სპანდარიანის № 17, კლარა ცეტკინის № 1, კამოს № 28 და № 26, ბზის შესახვევი № 2, ტაგი-ზადეს № 52 სახლებში. ნაგვის ყუთები არ არის კამოს № 53, ათარბეგოვის № 30, თუმანიანის № 5 და რიყინაშვილის № 2/5 სახლების ეზოებში. სიბინძურესა და ანტისანიტარიას ადგილი აქვს მობინადრეთა მხრივაც. ამ ფაქტებზე დღემდე გადამჭრელი ზომები არ არის მიღებული.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაისაბჭოების საბინაო სამმართველოები, აგრეთვე საუწყებო და კერძო სახლების მეპატრონეები ვალდებული არიან შეიმუშაონ სახლების მობინადრეთათვის შინაგანაწესი და მკაცრად დაიცვან იგი, დაამყარონ სანიტარული წესრიგი ბინებში, ეზოებსა და საერთო სარგებლობის ადგილებში. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის რაიონული ორგანოები და საბინაო სამმართველოები, სახლმმართველები თვითონ უნდა აწყობდნენ საცხოვრებელ სახლებსა და ეზოებში რეიდებს, უნდა ავლენდნენ იმ მობინადრეებს, რომლებიც დამნაშავენი არიან უსუფთაობაში: ანაგვიანებენ ეზოებსა და სახლებს, აზიანებენ კანალიზაციას, წყალსადენს, საერთო სარგებლობის ადგილებს. ასეთ მობინადრეთა შესახებ საკითხს უნდა აყენებდნენ სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების წინაშე.

სანიტარულ რეჟიმს არ იცავს ვაჭრობის ქსელის ზოგიერთი მუშაკიც. მაგალითად, ანტისანიტარულ მდგომარეობაშია საზოგადო კვების № 158 სასაუზმე (გამგე გ. დოქვირი). სანიტარულ წესებს არ იცავენ არც თბილვაჭრობის № 126 საპროდუქტო მაღაზიაში (გამგე ს. მახუკიანი). აქ პროდუქტებს უვარგის საწყობში ინახავენ, არა აქვთ საყინულე, არ ებრძვიან მღრღნელებსა და ბუზებს. არც თვით მაღაზიაშია წესრიგი, საყინულე შესაკეთებელია, პროდუქტებზე სერტიფიკატები არ არის. კიდევ უარესი მდგომარეობაა კოოპინკავშირის არტელ „საზკვების" სასაუზმეში (გამგე დ. ბარამიძე). თანამშრომელთათვის არა აქვთ გამოსაცვლელი ხალათები, არ მოეპოვებათ ბუზებისა და მღრღნელების მოსასპობი საშუალებანი. ჭურჭლეულს ცხელი წყლით არ რეცხავენ, პროდუქტებზე არა აქვთ სერტიფიკატები. ყოველივე ეს ხდება აღნიშნული არტელის გამგეობისა და მისი თავმჯდომარის ი. ნოზაძის თვალწინ, მაგრამ ისინი არავითარ ზომებს არ იღებენ.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ არის სანიტარული წესების უხეში დარღვევები. გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ, რათა მსგავსი ფაქტები სასწრაფოდ აღმოვფხვრათ, ყველგან დავამყაროთ მტკიცე სანიტარული დისციპლინა.

რეიდის მონაწილენი:

პ. გუნიავა, ვ. ზაქარიაძე, ვ. ნოზაძე, ქ. კაჭახიძე, ს. ტერ-მარტიროსოვი, ა. თარხნიშვილი, გ. ხენგავა.

ლეო ქიაჩელი

ჯოჯოს მამა*

თავი ოცდამეთოთხმეტე

სალაშქროდ გამზადებულ ნაწილს ერთ-ერთი სკოლის სამსართულიანი შენობა ეჭირა ქალაქის განაპირას,—დიდეზოიანი, ღლავანშემორტყმული. ეზოს წინ კიდევ ვრცელი ტრიალი მინდორი იდო, რომელიც ერთის მხრივ ზღვის ნაპირზე გადიოდა.

როცა ავტომობილმა ქუჩიდან ამ მინდვრისკენ გადაუხვია, მგზავრების ყურადღება მანქანაში უეცრად შემოჭრილმა უცნაურმა ღრიანცელმა მიიპყრო. შოფერმა სვლა შეანელა, და საყვირმა გაბმული კივილი მორთო.

მთის კაცმა და ლიამ მაშინვე სარკმელში გაიხედეს, რა ამბავიაო.

მათ თვალწინ საკვირველი სანახაობა გადაიშალა: მინდორი თავით ბოლომდე სახედრებისა და ჯორის ჯოგით იყო მოფენილი. ყროყინი, ჭიხვინი და ადამიანების ძახილი ერთმანეთში არეულიყო.

მანქანას მალე ჯარისკაცები შემოეხვივნენ. მათ გრძელი სახრეები ეჭირათ ხელში და ხანდახან სახედრებს უმოწყალოდ სცემდნენ, გზიდან ერეკებოდნენ. დამფრთხალ ჯორებს კი ბედაურებივით მოეღერებინათ კისერი, კბილები დაეკრიჭათ და გულის გამაწყალებელი ხვიხვინ-წივილი აეტეხათ. გასაქანი ადგილი რომ არ ჰქონდათ, მანქანისკენ ტლინკს ისროდნენ, ყალყზე შემდგარნი ერთმანეთს აწყდებოდნენ.

— კაცი მოვხუცდი, რა და რანაირი ჯოგი არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ ამისთანას პირველად ვხედავ!— ამბობდა გაოცებული მთის კაცი.

არანაკლებ გაოცებულიყო ლიაც.

— მართლა, ეს რა ამბავია? — ჰკითხა მან გამყოლ მხედარს.

— მობილიზებული არიან, ამხანაგო ლია... ეს მხოლოდ პირველი პარტიაა! —აუხსნა მისკენ მობრუნებულმა ახალგაზრდა მხედარმა.

— მობილიზებული? — ეოცა მთის კაცს მისი სიტყვა.

— ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, პატივცემულო მთის კაცო, რომ სანჭაროს ბილიკზე ბორბალი ვერ იტრიალებს... ჯარი კი გაივლის ფეხით, მაგრამ უიარაღოდ და უსურსათოდ ხომ ვერ იომებს... საჭურველს და სურსათ-სანოვაგეს ამათი ზურგით ავიტანთ ბზიფზე... თუ საჭირო იქნება, ბზიფის იქითაც...

მცირე ხნით დაფიქრდა მთის კაცი.

— მართალი ბრძანებაა! — წამოიძახა მერე აღფრთოვანებულმა. — ცხენზე უკეთ ესენი გამოდგებიან მთაში! ნამდვილი ამბავია! მაგრამ აქამდის ეს რატომ არ მოიფიქრეთ, დალოცვილებო! იქნება სოუც გადარჩენოდა უბედურებას!

ისევ ჯოგს გადაავლო თვალი. ისე დააკვირდა, თითქოს ითვლისო.

— ჰმ... ნეტავი რამდენი იქნება? სად იყო მაინც ამდენი! გაჭირვების დროს ესენიც, შეხედე, როგორ გამომდგარან!

ძლივს გაიკვლიეს გზა ალაყაფის კარებამდე. მანქანა ეზოში შესრიალდა. მგზავრები ჩამოხდნენ.

აქ მათ კიდევ სხვა სანახაობა დახვდათ. დიდ ეზოში კუთხით კუთხემდე ჯარისკაცების ვარჯიშობა მიმდინარეობდა ჯგუფ-ჯგუფად. ისმოდა მეთაურების ბრძანების წამოძახება ხან ქართულად, ხან კიდევ რუსულად.

მანქანიდან ჩამოსვლისთანავე ახალგაზრდა მხედარი შენობაში შევიდა. ხოლო ლიას მეგობარი ქალები შემოეხვივნენ ჟივილ-ხივილით. გადაჰკოცნეს. იმათაც ისე ეცვათ, როგორც ლიას. სიხარულს გამოსთქვამდნენ მისი მოსვლის გამო.

— აი, ეს ჩემი ამხანაგები, ჯოტოს მამავ! — მიმართა ლიამ მთის კაცს და თავისი მეგობრები წინ დაუყენა, გააცნო.

მაგრამ ხანამ მათ შორის ლაპარაკი გაიმართებოდა, მთის კაცთან ორმა ახალგაზრდა მეთაურმა მოირბინა. მზეზე დამწვარიყვნენ, სახეზე ოფლი სდიოდათ. ესენი იყვნენ ახალგაზრდა ლეიტენანტები, მთის კაცის კარგი ნაცნობები ბატა და რეჯიბი. მათ შორიდან იცნეს მთის კაცი და მისკენ გამოეშურნენ, რათა ძვირფასი სტუმარი ენახათ და მოელოცნათ მისთვის ჯოტოს დაჯილდოება.

მთის კაცმა სათითაოდ გადაჰკოცნა ისინი. თავისი სიხარული გაუმჟღავნა, მათი ნახვით გამოწვეული.

— ახლახან გიკითხა ამხანაგმა ვახტანგმა, ჯოტოს მამავ... ჩვენს პოლკოვნიკთან არის... მოგელიან! — უთხრა მერე რეჯიბმა.

— გავიგეთ, რომ ჩვენი მეგზური იქნები, მთის კაცო! გვიხარია... შენი დიდი იმედი გვაქვს! — ეუბნებოდა ბატა.

ამასობაში ლია სადღაც გაეტაცნათ მის მეგობრებს. მალე მხლებელიც უკან დაბრუნდა და მთის კაცს სთხოვა პოლკოვნიკთან გაჰყოლოდა.

კიბემდის მიაცილეს ბატამ და რეჯიბმა მთის კაცი. იქ გაიყარნენ.

* * *

პოლკოვნიკისა და მთის კაცის შეხვედრას ნაწილის უფროსი პოლიტხელი, ამხანაგი ვახტანგიც დაესწრო რამდენიმე სხვა მეთაურთან ერთად. მათი საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. იგი შეეხებოდა ბზიფის ხეობაში ჩასატარებელ საომარ ოპერაციას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სანჭაროს ბილიკით სოუში შემოჭრილი მტრის აუცილებელი განადგურება.

საუბარი ცალკე მაგიდაზე მოთავსებულ ბზიფის ხეობის სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკასთან მიმდინარეობდა, რომელზედაც წითელი და შავი პაწია სანიშნო ბაირაღებით იყო აღნიშნული საბჭოთა და მტრის ძალების განლაგება კავკასიონისა და ბზიფის ქედებს შუა, წითლებს ბზიფის ქედის გაყოლებაზე აჭავჭარის გადასავალის ორსავე მხარე ეჭირათ, შავებს კი სოფელი სოუ და მისი მიდამოები, სანჭაროს უღელტეხილის დაქანებიდან მოყოლებული.

პოლკოვნიკს თავისი ყურადღება უმთავრესად ამ ორ მოპირდაპირე ნიშნებს შორის გაკლაკნილი სანჭაროს ბილიკის ნაკვეთისათვის მიეპყრო.

— უნდა ვივარაუდოთ, — ამბობდა იგი და იქ მყოფთ ბილიკის რელიეფურ გამოხატულებაზე მიუთითებდა, — რომ ამ მხრიდან სოუს მისადგომი მტერს გამაგრებული აქვს... ყოველ შემთხვევაში გამაგრებული იქნება იმ დროისთვის, როცა ჩვენ ბზიფზე ასვლას შევძლებთ. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ სოუს მეორე მხარეც, რომელიც აჭავჭარისკენ არის მიშვერილი და სადაც გუშინს აქეთ მტრის განსაკუთრებული მოძრაობა შენიშნული, მოკლე ხანში ალბათ გამაგრებული იქნება... —აქ უცებ შეწყვიტა თავისი სიტყვა პოლკოვნიკმა. მთის კაცისკენ მიიქცა და მოულოდნელად ჰკითხა:

— აჭავჭარაზე სოუს კოლმეურნეობის ჯოგი დგას, რამდენადაც ვიცი. ხომ მართალია?

— მართალი გახლავთ... იდგა... ახლა გახიზნული უნდა იყოს. — მიუგო ჯოგის ხსენებით ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა მთის კაცმა.

— ჰმ... უნდა იყოს, მაგრამ არის კი გახიზნული? ამის ცნობა თქვენ არ გექნებათ...

— რა მოგახსენოთ.

— არის შეუმოწმებელი ცნობა, რომ ჯოგის ნაწილი მტერს ჩაუვარდა ხელში!

მეხი რომ გავარდნილიყო ოთახში, მთის კაცს ასე არ გააკვირვებდა. პოლკოვნიკის სიტყვები მან გაგონებისთანავე ისე აითვისა, თითქოს მანუჩას და ჯონდოს დაღუპვის ამბავი ეუწყებინოთ მისთვის. უცებ ქარიშხალის სისწრაფით თვალწინ ჩაუქროლეს მათმა სახეებმა. ჩაუქროლეს და წამით ნათელი დღე დაუბნელეს.

— ეს... შეუძლებელია! — გაუბედავად, ვითომ თავისთვის წარმოსთქვა მთის კაცმა, როცა ისევ გონს მოვიდა და უმწეობის გამომხატველი თვალებით შეხედა პოლკოვნიკს.—ნუ თუ ეს მართალია?

— მგონია, თვითონ სოუს აღებაზე უფრო მძიმედ იმოქმედა ამ ამბავმა თქვენზე... გასაგებია, რაკი მეჯოგე ბრძანებულხართ... მაგრამ, ომია, პატივცემულო მთის კაცო, და... უარესიც რომ მოხდეს არ უნდა შევდრკეთ... მით უმეტეს, როგორც მოგახსენეთ, ეს ცნობა შეუმოწმებელია. — ისეთი მშვიდი, აუღელვებელი ხმით ლაპარაკობდა პოლკოვნიკი, თითქოს აქ არაფერიაო. მერე ისევ მეთაურებს მიუბრუნდა და შეწყვეტილი სიტყვა განაგრძო:

— მაშასადამე, ამხანაგებო, გეოგრაფიული პირობების მიხედვით სოფელ სოუს ორი შედარებით ადვილად მისადგომი მხარე, ესე იგი სანჭაროს ბილიკის ხაზი და აჭავჭარა შეკრული დაგვხვდება, როცა ბრძოლას დავიწყებთ. მაგრამ რჩება სოუს აღმოსავლეთი მხარე, რომელიც გაუვალად ითვლება და, ამდენად, რაიმე სამხედრო ოპერაციისათვისაც გამოუსადეგარად. როგორც ჩანს, მტერს იგი ჯერჯერობით უყურადღებოდ აქვს დატოვებული, რაც ბუნებრივია. ჩვენც სწორედ ეს გარემოება უნდა გამოვიყენოთ... — აქ პოლკოვნიკმა მეორედ შეწყვიტა თავისი სიტყვა და კვლავ მთის კაცს მიუბრუნდა. მკლავზე მოჰკიდა ხელი და ჰკითხა: — თქვენ როგორ ფიქრობთ, მთის კაცო, ეს მხარე მართლა გაუვალია, როგორც ჰგონიათ, თუ ეს შემცდარი წარმოდგენაა მხოლოდ და სინამდვილე სხვანაირია?

პოლკოვნიკის სიტყვებს და თავდაჭერილობას ისე ემოქმედათ მთის კაცზე, რომ თავის ამასწინდელ აღელვებას თითქოს მორეოდა.

— მე არ ვიცი, რამდენად დამეჯერება, მაგრამ ვფიქრობ, რომ დედამიწაზე ისეთი ადგილი არ უნდა არსებობდეს, სადაც ადამიანს გავლა არ შეეძლოს, თუ მოინდომა! — ენის შეუბორკებლად უპასუხა მან.

— გეთანხმებით: ადამიანს კი, მაგრამ ჯარს?

— ჯარის კი რა მოგახსენოთ! ამის გამოცდილება არა მაქვს.

— მაგრამ სადაც ერთი გაივლის, იქ ასიც გაივლის, ასე არ არის?

— ეს დამოკიდებულია დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტზე!

— სწორია!... თქვენ ალბათ არაერთხელ გივლიათ ამ ადგილებში ნადირობის დროს!

— რა თქმა უნდა.

— ახლაც რომ მოგიხდეთ გავლა, წინაალმდეგი ხომ არ იქნებით... ა? რას იტყვით ამაზე?

— ვერ გეტყვით, რომ წინათ გამჭირვებოდეს.

— არც ახლა გაგიჭირდებათ... მაშ, მოდით, ახლა დავსხდეთ და ისე მომისმინეთ, რაც თქვენთვის სათქმელი მაქვს, მთის კაცო! — მიმართა პოლკოვნიკმა მას და თავის სამუშაო მაგიდისკენ გაიყოლია.

მეთაურებსაც მოუწოდა დამსხდარიყვნენ.

— ჩვენი ამოცანა — დაიწყო მან, როცა დამსხდარნი მის მოსასმენად მოემზადნენ. — თქვენთვის უკვე ცნობილია. იგი განგიმარტათ თქვენ ჩვენმა ხელმძღვანელმა წუხელ... ახლა აღარ გავიმეორებ. დაუფარავად უნდა გითხრათ, რომ თქვენს მონაწილეობას ამ ამოცანის გადაწყვეტაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბევრი რამე არის თქვენზე დამოკიდებული. პირდაპირი იერიშის მიტანა მტერზე იმ მხრიდან, სადაც ის გამაგრებული იქნება, დიდ მსხვერპლს შეეწირავს. მაგრამ თუ შემოვლით მივიტანთ იერიშს, გამარჯვება ნაკლებ მსხვერპლად დაგვიჯდება. ეს ნათელი ამბავია. მაგრამ თქვენ შემოვლა სთქვით! აშკარაა, რომ აღმოსავლეთის მხრიდან სოუში დაბანაკებული მტერი ჩვენ თავდასხმას არ მოელის მისი გაუვალობის გამო. მაგრამ მთის კაცის სიტყვები არ უნდა დაგვავიწყდეს: დედამიწაზე ისეთი ადგილი არ არსებობს, სადაც ადამიანს გავლა არ შეეძლოს. ეს ჭეშმარიტებაა... თუ ამას ვიწამებთ, მაშინ სოუს აღმოსავლეთი მხარის გაუვალობა ჩვენ უნდა დავძლიოთ. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამას მთის კაცის შემწეობით შევძლებთ. საკმარისია ასი კარგი მთამსვლელი მეომარი მტერს ზურგს უკან მოექცეს და მოულოდნელად შეუტიოს, რომ ჩვენ ბრძოლა მოვიგოთ... რა თქმა უნდა, შეტევა უთუოდ სანჭაროს ბილიკის მიმართულებითაც უნდა დაიწყოს, და, თუ მოხერხდა, აჭავჭარის მხრიდანაც... მე ნაბრძანები მაქვს ჩვენს მთის კაცს გარკვეული დავალება მივცე. ეს დავალება იმაში გამოიხატება, რომ ის იმ ას მეომარს წინ გაუძღვება გაუვალად მიჩნეულ ადგილებში და მტერს იმ მხრიდან მიადგება, საიდანაც იგი ჩვენ არ მოგველის!.. ეს არ არის ადვილი შესასრულებელი, მაგრამ შეუძლებელიც არ არის! არ არის, რადგანაც მის შესრულებას ჩვენი სარდლობა მთის კაცს ავალებს და არა სხვას ვისმე... როდის უნდა მოხდეს ეს ყოველივე? რაც შეიძლება მალე, რასაკვირველია. ჩვენი ნაწილი ხვალ დილით გაუდგება ბზიფის გზას. უნდა ვიფიქროთ, რომ ორ-სამ დღეში დანიშნულ ადგილს მიაღწევს, სადაც მოუთმენლად მოგველის ჩვენი მცირერიცხოვანი რაზმი სოუელ მოხალისეებთან ერთად. რაც შეეხება მთის კაცს, იგი ბზიფამდე ჩვენ არ დაგვჭირდება. ამიტომ დღესვე დაბრუნდება უკან, რომ დრო არ გააცდინოს. სამ დღეში მთის კაცი მოიკითხავს თავის ნაცნობ ბილიკებს, შეამოწმებს მათ, შეისწავლის, გაივლის კიდევაც და ყველაზე უფრო საიმედოსა და მომარჯვებულს აარჩევს... მე მგონია, მთის კაცი დამეთანხმება, რომ საქმისთვის ასე აჯობებს!... ამნაირად ჩვენს ნაწილს იგი მომზადებული დახვდება ადგილზე... და ჩვენც საქმეს შევუდგებით!... თუ საწინააღმდეგო სათქმელი არავის აქვს, ნება მიბოძეთ, მთის კაცს კეთილი მგზავრობა ვუსურვო და ამით დავამთავრო ჩვენი დღევანდელი თათბირი.

(გაგრძელება იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 14, № 17, № 20, № 22, № 25, № 30, № 32, № 37, № 47, № 50, № 52, № 55, № 56, № 57, № 58, № 60, № 68, № 73, № 72, № 74, № 76, № 78, № 81, № 82, № 90, № 91, № 93, № 97, № 98, № 101, № 104.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისათვის
უცხოეთის პრესის გამოხმაურება

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 25 მაისი. (საკდესი). პრესა თითქმის სდუმს საკდესის ცნობაზე, რომელიც ამჟღავნებს საბჭოთა ხელმძღვანელი წრეების დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 19 მაისის განცხადებისადმი. მაგრამ ამერიკის საზოგადოებრიობის ზოგიერთი კონსერვატიული წრეც კი არ ეთანხმება სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამერიკის პოზიციის ახსნა-განმარტებას და კითხულობს, რატომ ასე არამეგობრულად ეგებება მთავრობა ყველა წინადადებას „ცივი ომის" შეწყვეტის შესახებ. გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის" კონსერვატორი გამომცემელი ჯონ ნაიტი სარედაქციო სტატიაში მკაცრად აკრიტიკებს არა მარტო სახელმწიფო დეპარტამენტის, არამედ აგრეთვე იმ ამერიკელი ჟურნალისტების პოზიციას, რომლებიც „არაკრიტიკულად ითვისებენ სახელმწიფო დეპარტამენტის აზრს და თუთიყუშებივით იმეორებენ მას".

„რომ შეიძლებოდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დიდი სერიოზულობის უგულებელყოფა,—სწერს ნაიტი,—მაშინ სარედაქციო სტატიების ავტორების, სინდიცირებული მიმომხილველებისა და კომენტატორების უხეში ცდა — გაამართლონ ჩვენი სახელმწიფო დეპარტამენტის გაურკვეველი ჩიფჩიფი, მეტად გასართობი რამ იქნებოდა. რა თქმა უნდა, არის ზოგიერთი გამონაკლისი, მაგრამ ვაშინგტონიდან მოსული კომენტარების უმეტესობას ისე ითვისებენ, როგორც მთავრობის პროპაგანდის ფაბრიკის პროდუქტს". ნაიტი აღნიშნავს, რომ ვ. სმიტსა და ვ. მ. მოლოტოვს შორის განცხადებების გაცვლის შემდეგ ეს მიმომხილველები უხეშად ცდილობდნენ განემარტათ სმიტის სიტყვები—კარი ფართოდ არის ღია მოსალაპარაკებლად. უოლესის ღია ბარათზე ი. ბ. სტალინის პასუხის შემდეგ მიმომხილველები შეეცადნენ ყურადღება ჩამოეშორებინათ მშვიდობის ძირითადი საკითხებისათვის და თავს დაესხნენ უოლესს.

ნაიტი აცხადებს, რომ მას ძალუძს კარგად შეიგნოს „მტკიცე" პოლიტიკის საჭიროება, „მაგრამ სიმტკიცე კარის მიჯახუნებას როდი ნიშნავს. ეს სისუსტისა და არა ძალის დამამტკიცებელია".

გაზეთი „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსი" აგრეთვე არ იღებს სახელმწიფო დეპარტამენტის „განმარტებას". ამასთან გაზეთი იმოწმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 და 33-ე მუხლებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ავალებენ მიაღწიოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უთანხმოებათა მშვიდობიანად მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით.

ლიპმანი გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში" გამოქვეყნებულ სტატიაში თუმცა მხარს უჭერს დიდი შეიარაღებული ძალების, დასავლეთის ბლოკისა და სხვ. პოლიტიკას, მაგრამ მაინც უკმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ მთავრობამ ვერ შესძლო დადებითი პოლიტიკის შემუშავება. „თუ ახლანდელი პოლიტიკა გაგრძელდა,—განაგრძობს ლიპმანი,—შეერთებული შტატები, როგორც სჩანს, დაჰკარგავენ ევროპის ხალხთა ფართო მასების ნდობას, რომლებიც სულ უფრო ეჭვობენ, იცის თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რა გზით უნდა მიაღწიოს მათ მშვიდობა".

უოლესის გამოსვლა პორტლენდში

ნიუ-იორკი, 26 მაისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პორტლენდიდან (ორეგონის შტატი) იუწყება, უოლესმა თავის სიტყვაში გაილაშქრა იმ პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც საგარეო პოლიტიკის საკითხების გარჩევის დროს სახელმწიფო მდივანმა მარშალმა და სენატორებმა ვანდენბერგმა და კონელიმ დაიკავეს, და განაცხადა: დადგა დრო გულდასმით გადაისინჯოს ამერიკის საგარეო პოლიტიკა, რასაც პრესა არ აკეთებს. ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში რუსებმა ორჯერ განაცხადეს იმის შესახებ, რომ მათ სურთ მოლაპარაკება აწარმოონ მშვიდობის შესახებ, რათა შესწყდეს „ცივი ომი". ეს ისეთი მშვიდობაა, რომელსაც შეგვიძლია მივაღწიოთ ისე, რომ მსხვერპლად არ შევწიროთ ამერიკის არცერთი პრინციპი ან საზოგადოებრივი ინტერესი".

უოლესის სიტყვით, „უზარმაზარი კორპორაციები, რომლებსაც კონტროლი არ ეწევა, თავისი ყოვლისშემძლეობით და ქედმაღლობით ღუპავენ ტრადიციულ ამერიკანიზმს „წითელი საფრთხის" საბაბით, რომელიც ძირითადად მათივე გამოგონილია". უოლესმა შემდეგ განაცხადა, რომ პასუხი უნდა იყოს ასეთი: „გუთნები და არა ზარბაზნები, სამედიცინო და არა სამხედრო მისიები, მშენებლობა და არა ნგრევა, მშვიდობიანი შეტევა და არა სამხედრო თავდასხმა".

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 24 მაისი. (საკდესი). ყველა უნგრული გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ცნობას, რომელიც საკდესმა გააკეთა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

გაზეთი „საბადშაგი" ამ ცნობის სათაურში სწერს: „პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში დაძაბულობისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეკისრება". „საბადშაგი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა სამართლიანად დასდო ბრალი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეიარაღების პოლიტიკის განგრძობაში.

გაზეთი „საბად ნეპი" სწერს, რომ „საბჭოთა კავშირისათვის განცხადების გადაცემისას ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე ნაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მოწესრიგებით და ვარაუდობდნენ წარმატება მოეპოვებინათ წინასაარჩევნო აგიტაციაში. ჩაიშალა ტრუმენის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ ამერიკელი ხალხი აამხედროს საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნოტების გაცვლის შედეგად მსოფლიოს დემოკრატიულმა ძალებმა ამერიკელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის სახით ახალი მოკავშირეები შეიძინეს...

საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკამ დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების არაგულწრფელი პოლიტიკა. ახლა არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს მსოფლიოში არ შეუძლია უყურადღებოდ დასტოვოს მშრომელთა მილიონობით მასების მისწრაფება მტკიცე ზავისაკენ".

რუმინეთი

ბუქარესტი, 25 მაისი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთი აქვეყნებს საკდესის ცნობას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელ განცხადებასთან დაკავშირებით.

გაზეთი „სკინტეია" კომენტარს უკეთებს ამ ცნობას და სწერს:

„საკდესის ცნობა წარმოადგენს ისეთ დოკუმენტს, რომელიც კვლავ კონკრეტულად ადასტურებს საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ მისწრაფებას—მოაწესრიგოს უთანხმოებანი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი ჰგმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირში გამოქვეყნებული დოკუმენტები,—სწერს გაზეთი „რომინია ლიბერა",—წარმოადგენს იმ მილიონობით ადამიანთა სოლიდარობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში შეტანილ ძვირფას წვლილს, რომლებიც თავისუფლებასა და მშვიდობას ესწრაფვიან. საბჭოთა კავშირი, რომელიც ამ ბრძოლას მთელ თავის ძალებს ახმარს, მთელი მსოფლიოს სიყვარულსა და ნდობას იხვეჭს".

დანია

კოპენჰაგენი, 25 მაისი. (საკდესი). დანიის გაზეთებმა გუშინ მიდა გვერდებზე გამოაქვეყნეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ საკდესის ცნობის შინაარსი. მხოლოდ გაზეთმა „ლანდ ოგ ფოლკმა" მოათავსა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაზე საბჭოთა კავშირის პასუხის ყველა პუნქტის ვრცელი შინაარსი.

შვეცია

სტოკჰოლმი, 24 მაისი. (საკდესი). შვედური პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ი. ბ. სტალინის პასუხს ჰ. უოლესის ღია წერილზე. ბურჟუაზიულმა გაზეთებმა და მთელმა რიგმა სოციალ-დემოკრატიულმა გამოცემებმა ამ საკითხში საბჭოთა კავშირისადმი მტრული პოზიცია დაიკავეს.

მათგან განსხვავებით, გაზეთი „აფტონტიდნინგენი" მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მოლოტოვის განცხადებით და უოლესისადმი სტალინის პასუხით რუსებმა უდავოდ დაადასტურეს თავისი სურვილი დაიწყონ მოლაპარაკება. სტატიის ავტორი—ამ გაზეთის საგარეო-პოლიტიკური რედაქტორი ლუნდბერგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა ორჯერ გამოსთქვა აზრი მოლაპარაკების გამართვის სასარგებლოდ, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორჯერ უპასუხეს „არა". „პირიქით რომ ყოფილიყო,—სწერს ლუნდბერგი,—ამას განიხილავდნენ როგორც რუსების აგრესიული განზრახვის დადასტურებას".

გაზეთები კომენტარს არ უკეთებენ საკდესის ცნობას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხზე.

ავსტრია

ვენა, 26 მაისი. (საკდესი). „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე", კომენტარს უკეთებს საკდესის ცნობას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 19 მაისის განცხადებისადმი საბჭოთა ხელმძღვანელი წრეების დამოკიდებულების შესახებ და სწერს „მოსკოვში გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობისათვის პასუხისმგებელია ამერიკის პოლიტიკა. პუნქტობრივ გაბათილებულია ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგობრივი მტკიცებანი. მოსკოვის განცხადება ცხადჰყოფს, რომ ამერიკის მთავრობა სისტემატურად არღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებებს".

გაზეთი „ვინერ ცაიტუნგი" ათავსებს საკდესის ცნობის დაწვრილებით შინაარსს.

ავსტრალია

სიდნეი, 26 მაისი. (საკდესი). მთელმა პროფკავშირულმა პრესამ გამოაქვეყნა ავსტრალიის მაღაროელთა ფედერაციის ცენტრალური საბჭოს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„ავსტრალიის მაღაროელთა ფედერაცია მიესალმება საბჭოთა კავშირის მზადყოფნას—დაიწყოს მოლაპარაკება ამერიკასთან, რათა სცადონ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესება. ჩვენ განვიხილავთ ამას, როგორც იმ კონსტრუქციული როლის შემდგომ დადასტურებას, რასაც საერთაშორისო საქმეებში ასრულებს საბჭოთა კავშირი, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობისა და თავისუფლების განმტკიცებას".

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 26 მაისი. (საკდესი). პრაღის გაზეთებმა პირველ გვერდებზე მსხვილი სათაურებით გამოაქვეყნეს საკდესის ცნობა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 19 მაისის განცხადების გამო. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს საკდესის ცნობის დასაბუთებულ დასკვნას, რომ ამერიკის ახლანდელ მმართველ წრეებს სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ შექმნილი დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობისათვის.

ბერლინი

ბერლინი, 25 მაისი. (საკდესი). ბერლინის საბჭოთა სექტორის ყველა დღის გაზეთმა 25 მაისს მთავარი ყურადღება დაუთმო საკდესის ცნობას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 19 მაისის განცხადების გამო. დასავლეთი სექტორების გაზეთებიდან მხოლოდ საფრანგეთის ლიცენზიით გამომავალმა გაზეთმა „დერ კურირმა" 24 მაისს და ამერიკულმა გაზეთმა „დერ ტაგესშპიგელმა" მოათავსეს საკდესის ცნობის მოკლე შინაარსი.

ისეთ გაზეთებს, როგორიც არიან „დერ სოციალ-დემოკრატი", „ტელეგრაფი" და „დერ აბენდი", რომლებმაც მთლიანად წინათ მოათავსეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, დღემდე ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ საკდესის ცნობის შესახებ.

ბერლინის როგორც საბჭოთა, ისე დასავლეთი სექტორების არც ერთი გაზეთი ჯერჯერობით არ იძლევა საკუთარ კომენტარს.

ჰიტლერის პირადი პილოტის დაპატიმრება

ვენა, 24 მაისი. (საკდესი). ავსტრიის პრესის სააგენტო იმოწმებს ჰამბურგის რადიოს და იუწყება, რომ ჰიტლერისა და გერინგის პირადი პილოტი და მეგობარი ხანა რეიჩი დააპატიმრეს, როცა იგი, ყალბი საბუთებით აღჭურვილი, ცდილობდა ავსტრია-ბავარიის საზღვარზე გადასვლას.

როგორც ცნობილია, ჰიტლერული გერმანიის უკანასკნელ დღეებში რეიჩი იმყოფებოდა ჰიტლერის მთავარ ბანაკში ბერლინში და მას შემდეგ მისი ადგილი არავის იცოდნენ.

ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტის განცხადება

ვაშინგტონი, 26 მაისი. (საკდესი). ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტმა ვეიცმანმა რომელიც პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ ტრუმენთან მისი 30-წუთიანი თათბირის დროს, რაც 25 მაისს მოხდა, განხილულ იქნა საკითხი პალესტინაში იარაღის გატანაზე ემბარგოს მოხსნის შესახებ და ისრაელის სახელმწიფოსათვის ამერიკის სესხის მიცემის შესაძლებლობა. ვეიცმანმა აღნიშნა, რომ მან სცადა აეხსნა ტრუმენისათვის, რომ პალესტინაში იარაღის მოწოდებაზე ემბარგოს მოხსნას „არსებითად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი უშიშროებისათვის", და ემბარგო რაც შეიძლება მალე უნდა მოიხსნას. ვეიცმანმა დასძინა, რომ მას არ შეუძლია გამოაქვეყნოს ტრუმენის პასუხი, მაგრამ ტრუმენმა იმის იმედი აღუძრა მას, რომ ეს შეიძლება გაკეთდეს. ვეიცმანი შეეხო სესხის შესაძლებლობის საკითხს და განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფოს ესაჭიროება 90-100 მილიონი დოლარი სამხედრო და სხვა საჭიროებისათვის.

ვეიცმანმა განაცხადა, რომ მან აგრეთვე გადასცა ტრუმენს წერილი დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლისა და სხვა საკითხებზე.

უპასუხა რა შემდგომ შეკითხვებზე, ვეიცმანმა განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფოს არმიას ესაჭიროება ტანკები, თვითმფრინავები და არტილერია. ისრაელის სახელმწიფოს მთავრობამ ინგლისის არმიისაგან მიიღო კარვები, რომლებიც საცხოვრებლად უნდა გამოიყენონ.

ვეიცმანმა განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფოს ჯარები დაუყოვნებლივ დასცლიან აკრასა და იაფას, თუ დროებითი ზავი დამყარდა. ებრაელებს არა სურთ დარჩნენ იქ, და ეს ტერიტორია ისრაელის სახელმწიფოს არ ეკუთვნის, სთქვა მან. ვეიცმანმა სერიოზული შეშფოთება გამოსთქვა იერუსალიმში შექმნილი მდგომარეობის გამო.

ისრაელის დროებითი მთავრობის განცხადება უშიშროების საბჭოსადმი

თელ-ავივი. 25 მაისი. (საკდესი). როგორც რადიოსადგური „ისრაელის ხმა" იუწყება, დღეს ისრაელის დროებითი მთავრობა შეიკრიბა იმ ინსტრუქციების განსახილველად, რომლებიც უნდა მიეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მყოფ ისრაელის დელეგატს იმასთან დაკავშირებით, რომ უშიშროების საბჭომ დააკმაყოფილა არაბთა თხოვნა პალესტინაში საომარი მოქმედების შეწყვეტის ვადის გადადების შესახებ. სხდომის შემდეგ ლეიკ-საქსესში მყოფ დროებითი მთავრობის დელეგატს ინსტრუქცია მიეცა შემდეგი ცნობა გადასცეს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს:

ისრაელის დროებითი მთავრობა გააკვირვა იმ ამბავმა, რომ უშიშროების საბჭომ შესაძლოდ მიიჩნია ხელი აელო თავის წინანდელ გადაწყვეტილებაზე — მოეთხოვა საომარი მოქმედების შეწყვეტა გუშინ საღამოს—და გადასდო საომარი მოქმედების შეწყვეტის ვადა არაბთა მთავრობების ხელსაყრელად, რომლებიც აშკარად იწვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას პალესტინაში და აგრესიას ახორციელებენ ისრაელის სახელმწიფოს და პალესტინის ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ. დროებითი მთავრობა დარწმუნებულია, რომ არასაკმაო საფუძვლის უქონლად ვადის გადადების შესახებ თხოვნას მიზნად აქვს საშუალება მისცეს არაბებს გამოიყენონ დრო იერუსალიმში თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად. ისრაელის მთავრობა დარწმუნებულია აგრეთვე, რომ ამ მიზანს ისახავენ უცხო სახელმწიფოს პირდაპირი და მუდმივი დახმარებით. კონსულტაციის საჭიროების საბაბით ვადის გადადების შესახებ თხოვნა წამოყენებულია იმ დროს, როცა იერუსალიმზე იერიში მიაქვთ უცხოეთის არაბთა ჯარებს. ისრაელის დროებითი მთავრობა გამოეხმაურა უშიშროების საბჭოს მოწოდებას უსიტყვოდ შეეწყვიტათ საომარი მოქმედება 22 მაისს შუაღლისას ნიუ-იორკის დროით. მაგრამ იმის გამო, რომ უშიშროების საბჭომ თავისი გადაწყვეტილება შესცვალა, რათა საშუალება მისცეს არაბებს ძალადობა განაგრძონ, დროებითმა მთავრობამ უნდა გადასინჯოს თავისი პოზიცია, რომლის შესახებაც იგი აცნობებს უშიშროების საბჭოს.

რეიტერის სააგენტო პალესტინის საკითხში ინგლისის პოზიციის შესახებ

ლონდონი. 24 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ, ლონდონის პოლიტიკური წრეების აზრით, სამხრეთ აფრიკის კავშირის გადაწყვეტილება ისრაელის ახალი სახელმწიფოს ცნობის შესახებ სასტიკ ლახვარს სცემს პალესტინის მიმართ ინგლისის პოლიტიკას, რომელსაც ისედაც მკვეთრად აკრიტიკებენ მრავალ წრეში.

სამხრეთ აფრიკის კავშირის გადაწყვეტილებამ გააძლიერა ინგლისის დელეგაციის იზოლაცია ლეიკ-საქსესში. იმ გარემოებამ, რომ არ სურს სცნოს ებრაელთა სახელმწიფო და გადაწყვეტილი აქვს შეასრულოს ეგვიპტესთან, ერაყსა და ტრანსიორდანიასთან დადებულ ხელშეკრულებათა სამხედრო მუხლები, ინგლისი უკვე ჩააყენა ოპოზიციაში შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მიმართ. სამხრეთ აფრიკის კავშირის მიერ ებრაელთა სახელმწიფოს ცნობა იმას ნიშნავს, რომ შუა აღმოსავლეთის ბედის დიდმნიშვნელოვან საკითხშიც ინგლისი თავისი ერთ-ერთი დომინიონის თვალსაზრისისაგან განსხვავებულ თვალსაზრისს დაიკავებს.

ამავე დროს სამხრეთ აფრიკის კავშირის გადაწყვეტილება, როგორც სჩანს, უფრო გააძნელებს შუა აღმოსავლეთის პრობლემებზე ერთა ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნების შეხედულებათა შეთანხმებას, რაც უნდა მოხდეს ამ ქვეყნების კონფერენციაზე, რომელიც ამჟამად იგეგმება.

ჩვეულებრივ კარგად ინფორმირებული წრეები ფიქრობენ, რომ ინგლისს წინასწარ არ ჰქონია ნათელი ინფორმაცია სამხრეთ აფრიკის კავშირის განზრახვის შესახებ.

ერთა ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნების საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები აშკარად შეაშფოთა ამ ცნობამ, და ისინი უარს ამბობენ კომენტარი გაუკეთონ მას, მხოლოდ აღნიშნავენ, რომ პალესტინის საკითხს განუწყვეტლივ იხილავენ ინგლისი და დომინიონები.

ტელეპრესის სააგენტო პალესტინაში არსებული მდგომარეობის შესახებ

პრაღა, 25 მაისი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტო ლონდონიდან გადმოგვცემს ცნობას შემდეგი სათაურით: „ინგლისელები ელოდებიან იმის შესაძლებლობას, რომ საშუალება მისცენ არაბებს, დაიპყრონ იერუსალიმი".

როგორც სააგენტო იუწყება, იმის იმედი, რომ არაბები მიიღებდნენ უშიშროების საბჭოს მიერ წარდგენილ 36 საათის ვადას პალესტინაში საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის, გაქარწყლდა 24 მაისს. იმასთან დაკავშირებით, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ მხარი დაუჭირა მოთხოვნას კიდევ 36 საათით გადაედოთ ეს ვადა.

როგორც ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ინგლისი მხარს დაუჭერს არაბთა საერთო მოთხოვნას, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტის ვადა გაგრძელდეს 36 საათით, მოთხოვნას, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა 24 მაისს ტრანსიორდანიის დედაქალაქ ამანში.

ნამდვილი მიზანი ვადის გადადებისა, რომელსაც მხარი დაუჭირეს ინგლისელებმა, განაგრძობს ტელეპრესის სააგენტო, ცხადია. იგი იმაში მდგომარეობს, რომ არაბებს მიეცეთ დრო დაამთავრონ იერიში ძველი იერუსალიმისა, რომლის დაპყრობის შესახებაც, როგორც 24 მაისს აბდულა იქვეხნიდა, 25 მაისს გამოცხადდება.

გ. ლეონიძის პოემა „სტალინი" სხვადასხვა გამოცემა

გ. ლეონიძის პოემა „სტალინი" მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ მოსკოვში რუსულ ენაზე გამოსცა პოეტ გ. ლეონიძის პოემა „სტალინი" (ბავშვობა და ყრმობა).

პოემა ქართულიდან რუსულად თარგმნა ნ. ტიხონოვმა. წიგნის რედაქტორია ე. ლიუბოვსკი.

ამავე გამომცემლობამ იგივე წიგნი გამოსცა გ. ცაგარლის თარგმანით. რედაქტორია ს. შერვინსკი. ორივე წიგნი მხატვრულად გააფორმა ი. ილინმა.

პოემა „სტალინი" ბელორუსულ ენაზე გამოსცა ბელორუსიის სსრ რესპუბლიკის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ მინსკში.

გ. ლეონიძის პოემა დაიბეჭდა ოსურ ენაზე.

პოემა თარგმნილია აგრეთვე უკრაინულ (თარგმანი ა. ნ. ვიცკის), უზბეკურ (თარგმანი ცნობილი პოეტის აიბეკის), თურქმენულ და სომხურ (თარგმანი გ. სარიანის) ენებზე.

უნივერსიტეტის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 31 მაისიდან 5 ივნისამდე ტარდება სამეცნიერო სესია, მიძღვნილი უნივერსიტეტის 30 წლისთავისადმი.

31 მაისს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შესდგება სამეცნიერო სესიის პირველი სხდომა. მოხსენებას — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 წლისთავი, გააკეთებს უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. კეცხოველი.

მოხსენებებს წაიკითხავენ პროფესორი ფ. გოგიჩაიშვილი და დოცენტი ს. ჯიქია.

1, 2, 3 და 4 ივნისს საღამოს 7 საათიდან იმუშავებენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექცია (№ 86 აუდიტორიაში, ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი გ. ახვლედიანი) და მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სექცია (№ 93 აუდიტორიაში, ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ალ. ჯანელიძე).

5 ივნისს, საღამოს 8 საათზე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოხსენებებს წაიკითხავენ დოცენტი ალ. ქუთელია და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი შ. ნუცუბიძე.

ავტომოძრაობის წესების დარღვევისათვის

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის განმავლობაში მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის ავტომანქანის მართვის უფლება ჩამოართვეს 161 შოფერს, მათ შორის:

ს. ე. ბოჭორიშვილს (ტყიბულნახშირი), ა. კ. ნაცვლიშვილს (საქართველოს სსრ სოფლელექტროს ქუთაისის კანტორა), ქ. ა. კულკოვს (თბილისის არტელი „წითელი ოქტომბერი"), ნ. გ. გოგიას (ქუთაისის ავტოსარემონტო სახელოსნოს მშენებლობა), ა. ა. ლომსაძეს (მოქ. ჯაფარიძის პირადი სარგებლობის ავტომანქანის შოფერი), გ. დ. ნონიაშვილს (ახმეტის რაიმიწგანი), პ. ი. შმელიოვს (მარნეულის რაიონის სოფელ ენიკენდის კოლმეურნეობა „ზორბახი") და სხვ.—თვითეულს 6 თვის ვადით, ვ. ვ. ხოშტარიას (ს/ნ 617989), ა. გ. ვეფხვაძეს (ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვება"), ი. ი. კლინკაროვს (მარნეულის რაიონის აზიზბეკოვის სახელობის კოლმეურნეობა), ნ. პ. ხუციშვილს (ავჭალის შამპანურის ქარხანა), ა. ა. მურადოვს (სამგორ-წყალმშენი), ი. ზ. ნარიმანიძეს (საქნავთის ნორიოს ბურღვის კანტორა), პ. გ. პუზანოვს (კომბინატი „საქმარმარილო"), რ. მ. ტაფოვს (მოქ. ხუბაშვილის პირადი სარგებლობის ავტომანქანის შოფერი), ა. ი. მედვედევს (თბილსაზკავების ტრესტი) და სხვ.—თვითეულს 3 თვის ვადით.

ოპერისა და ბალეტის თეატრში

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში ამ დღეებში საგასტროლოდ ჩამოვიდნენ საოპერო ხელოვნების ცნობილი ოსტატები: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დავით ბადრიძე, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი პ. ლისიციანი, ქალაქ ოდესის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი დიდუჩენკო და სხვ. ცნობილი ქართველი მომღერლის დ. ბადრიძის მონაწილეობით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენილი იქნება ვერდის ოპერა „ტრავიატა" და ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი". დ. ბადრიძე მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ოთხ სპექტაკლში.

ახალი წიგნი

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გამოსცა დოცენტ ვ. ქოჩაკიძის წიგნი „საბჭოთა ვაჭრობის ფორმები". წიგნში ფართოდ არის გაშუქებული საბჭოთა ვაჭრობის არსი, სახელმწიფო ვაჭრობა, კოოპერაციული ვაჭრობა, საკოლმეურნეო ვაჭრობა და საბჭოთა ვაჭრობის ფორმების ურთიერთ განმასხვავებელი ნიშნები და თანაფარდობა. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლეებსა და საბჭოთა ვაჭრობის მუშაკებს. წიგნის რედაქტორია შ. გოგებაშვილი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია, პოლიტეკონომია, სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, საკ. კ. პ (ბ) ისტორია, საქართველოს ისტორია, მექანიკა, მათემატიკა, ფიზიკა, ფიზიკური ქიმია, ბიოლოგია, ორგანული ქიმია, ფიზიკური გეოგრაფია, რუსული ენა, რუსული ლიტერატურის ისტორია, ქართული ენა, ქართული ლიტერატურის ისტორია, ფრანგული ენა, კავკასიური ენები, სემიტოლოგია, იურიდიული დისციპლინები.

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს რექტორის სახელზე შემდეგი საბუთებით: 1. კადრების აღრიცხვის ორი პირადი ფურცელი ფოტოსურათებით, 2. ავტობიოგრაფია, 3. დიპლომი, 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 5. ვრცელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საქმიანი დახასიათება, 6. საბუთი სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, 7. რეფერატი, 8. ხელმძღვანელის დასკვნა.

განცხადებები მიიღება ა. წ. 5 ივნისიდან 5 სექტემბრამდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 5-25 სექტემბერს.

ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, მარის ქ. № 1, უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ა. წ. 11 ივნისს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8), ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ალექსანდრე დიმიტრის-ძე კიკვაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მოგზაურობანი და მიმოხილვანი XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში"**.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი **ალ. ბარამიძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ს. ყუბანეიშვილი**.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 8 ივნისს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე **ვარლამ იაკობის-ძე ტოზონიძე** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„მთიანეთის აჯანყება 1804 წ."**

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. ფირცხალაიშვილი**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **მ. ბერძნიშვილი** და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **დ. გვრიტიშვილი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

საქართველოს სსრ საგზაო მრეწველობის სამინისტროს „საშტრესტს" ესაჭიროება საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ მთავარი და უფროსი ბუღალტრები.

პირობების გაგება შეიძლება „საშტრესტის" მთავარ ბუღალტერთან. ქალაქი თბილისი, ლენინის ქ. № 71, ტელეფონი № 3-94-66.

მოქალაქე **ვლადიმერ ივანეს-ძე კოკილაშვილმა**, მცხოვრებმა ქ. კიროვაბადში, აღძრა საქმე ქ. თბილისში მცხოვრებ მოქალაქე **ოლია გიორგის ასულ ადამიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გივი ალექსანდრეს-ძე იოსელიანმა**, მცხოვრებმა კლარა ცეტკინის ქ. № 139, აღძრა საქმე მოსკოვის ქ. № 30 მცხოვრებ მოქალაქე **ნინო ნიკოლოზის ასულ წეროძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თანამშრომლები იუწყებიან **მელქისედეკ აბალოს-ძე ციმაკურიძის** გარდაცვალებას.

შვილი მატრონე, სიძე სარდიონ, შვილიშვილები მაყვალა, თამაზ ებრალიძეები, ესეფ ცინცაძე, ანეტა, შურა, რეზო ურუშაძეები იუწყებიან **კონსტანტინე ცინცაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-V ქ. ლანჩხუთში.

მეუღლე ნინო, შვილი გურამ, დედა ნადია, ძმა ალექსანდრე ოჯახით, დები ქსენია, აბიბო იუწყებიან **ლევან რევაზის-ძე გოგიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-V, 8 ს. გამოსვენება 30-V, 4 ს. დეკაბრისტების შესახვ. 1.

ნინო სულავა, კალისტრატე მაძღუა შვილებით ლამარათი და ზურაბით იუწყებიან **ელენე ივანეს ასულ სულავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-V, 8 ს. გამოსვენება 29-V, 6 ს. გრიბოედოვის, 15.

მეუღლე ნინო, შვილები სონია, ნუნუ მამაცაშვილი იუწყებიან **ადამ დავითის-ძე ანდრონიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-V, 8 ს. გამოსვენება 30-V, 2 ს. დერბენტის შესახვ. 3.

მეუღლე პოლინე, შვილები თამარ, ქეთევან, გაბრიელ, პეტრე და შოთა ოჯახებით იუწყებიან, რომ 30-V, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება **ვასილ ალექსის-ძე ხომასურიძის** პანაშვიდი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან **მინადორა ტყეშელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ზზვაში (ვანის რ.).

ლ. ქ. ფარჯანაძე და ვ. ლ. ბურჯანაძე ოჯახებით იუწყებიან **მელქისედეკ აბალოს-ძე ციმაკურიძის** გარდაცვალებას.

დიმიტრი ჯანელიძე, ეჩა ჯაფარიძე, თედო ცინწურაშვილი ოჯახებით იუწყებიან **ილია ალექსის-ძე პანკვეტაძის** გარდაცვალებას

მეუღლე ნინო, შვილები ომარ, გიორგი იუწყებიან **გრიგოლ გიორგის-ძე მოქიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-V, 8 ს. გამოსვენება 30-V, 5 ს. ყიზლიარის, 6.

მეუღლე ლუბა, შვილები ნუნუ მეუღლით საშათი, ნათელა, ციცინო, ია იუწყებიან **ალექსანდრე ბაქრაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-V, 8 ს. გამოსვენება 30-V, 2 ს. სამხედრო გზა, 6.

მშობლები ალექსანდრა ნიკოლაიშვილი და გურგენ აბრამოვი შვილით ლეილათი იუწყებიან, რომ 30-V, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება **ნიკუშა აბრამოვის** პანაშვიდი.

მეუღლე იულონ ლომინის-ძე კორძაია შვილებით და სიძეებით იუწყება, რომ 29-V, 2 ს. ნასირში შესდგება **ეფროსინე დიმიტრის ასულ კვაჭანტირაძე-კორძაიას** პანაშვიდი.

ვერა, ვიქტორ, კოტე, ზიზო პანკვეტაძეები, ცირა გამყრელიძე იუწყებიან **ილია ალექსის-ძე პანკვეტაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-V, 7 ს. გამოსვენება 30-V, 2 ს. რუსთაველის, 36.

მეუღლე ოლღა, შვილი მარგარიტა, და ნინო, ძმები ვეტაბი, სოლომონ, კირილე ქანიშვილები და მინადორა სიხარულიძე ოჯახებით იუწყებიან **კაპიტონ ტრიფონის-ძე ქანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-V, 8 ს. გამოსვენება 30-V, 5 ს. პეტრიაშვილის, 32.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-34, სახოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3 81 65, გამომცემლობისა — 3-51 81, სტამბის დირექტორის—3 77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 01931